საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის

სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №51/ნ

2025 წლის 26 სექტემბერი

ქ. თბილისი

ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენციის (ECMT) მრავალმხრივი სანებართვო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

„საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 5^9 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

1. დამტკიცდეს თანდართული „ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენციის (ECMT) მრავალმხრივი სანებართვო დოკუმენტის გაცემის წესი“.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენციის (ECMT) მრავალმხრივი ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 5 აპრილის №04/ნ ბრძანება.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დირექტორი **ბაკურ მიქაძე**